ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30
2018 წლის 7 მაისი

ქ. ახმეტა

,,თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„თვითმმართველი ერთეულის – ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (საჯარიმო ქვითრის) შედგენაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 16 დეკემბრის №57 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/12/2011, 020080130.35.162.016081) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ზედამხედველობისა და ადგილობრივი მოსაკრებლების ადმინისტრირების განყოფილების უფროსი, ხოლო მისი დავალებით აგრეთვე განყოფილების მესამე რანგის პირველი და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტები – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 49-ე, 51-ე, 51^2, 51^3, 52-ე, 53^3, 55-ე, 55^2 , 55^3 , 63-ე, 64-ე, 65-ე, 65^1, 66-67-ე, 68-ე, 71-ე, 73-76-ე, 86-ე,119^1 მუხლებით, 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილით, 145-ე, 146^1 , 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 153^4, 159-ე, 159^1, 177^8, 177^9, 179^2 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“.

2. დადგენილების პირველი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, ხოლო მისი დავალებით სამსახურის მესამე რანგის პირველი და მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტები – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196^3, 196^6 და 197^1 მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **თამარ ყეინიშვილი**